სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

წლიური ანგარიში 2014

შინაარსი

I. შესავალი ---------- 3

II. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა ---------- 4

მიმართულება N1: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ---------- 4

მიმართულება N2: საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია ---------- 16

მიმართულება N3: ინფორმირებული ამომრჩეველი ---------- 25

მიმართულება N4: დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია ---------- 28

III. ინფორმაცია მიღწევების შესახებ ---------- 29

I. შესავალი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 14 მარტის №38 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2012-2015 წლის სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავებული 2014 წლის სამოქმედო გეგმით გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (შემდგომში - სწავლების ცენტრი), საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

მიმართულება N1: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები

1.1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთათვის საარჩევნო პროცედურების ცოდნის ამაღლების მიზნით საარჩევნო ციკლის მართვის სახელმძღვანელო ინსტრუქციების შექმნა/განახლება;

1.2. არჩევნებში ჩართული მხარეების, არჩევნების პროცედურული საკითხებისა და საარჩევნო პროცესში მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, ინფორმირებულობის მიზნით, დამხმარე სახელმძღვანელოების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება;

1.3. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება;

1.4. საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება;

1.5. კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა;

1.6. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ტრენერებთან შემაჯამებელი შეხვედრა.

მიმართულება N2: საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში საარჩევნო კულტურის ამაღლების მიზნით საგრანტო კონკურსების ორგანიზება, არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემა და მონიტორინგი.

მიმართულება N3: ინფორმირებული ამომრჩეველი

3.1. ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის საინფორმაციო კამპანიისა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;

3.2. ახალგაზრდა ამომრჩევლის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) ინფორმირება არჩევნებში მათი აქტიური ჩართულობის მიზნით.

მიმართულება N4: დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

საარჩევნო პროცესის მუდმივი დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა, მათი საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვა.

II. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

მიმართულება N1: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები

1.1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთათვის, საარჩევნო პროცედურების ცოდნის ამაღლების მიზნით, საარჩევნო ციკლის მართვის სახელმძღვანელო ინსტრუქციების შექმნა/განახლება:

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა შეიმუშავა სპეციალური სასწავლო კურსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის, რომლის საფუძველზეც მომზადდა და განახლდა შემდეგი სასწავლო მასალა:

დამხმარე სახელმძღვანელო	ქართული	ქართულ/ აზერბაიჯანული	ქართულ/ სომხური	ინგლისური
რეგიონული ტრენერებისათვის	13			
ტრენერებისათვის	127			
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	1200			100
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	47 650	2500	1 800	100

შინაარსი	
სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“	სასწავლო ფილმი და ელექტრონული სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფას ვიზუალური და სქემატური ეფექტების გამოყენებით.
ელექტრონული სასწავლო პროგრამა	

სასწავლო ფილმი			
	ქართული	სუბტიტრებით	
		აზერბაიჯანულ ენაზე	სომხურ ენაზე
”კენჭისყრის დღის პროცედურები”	450 ცალი CD	20 ცალი CD	20 ცალი CD

საინფორმაციო ხასიათის მასალა	ქართული	ქართულ/ სომხური	ქართულ/ აზერბაიჯანული
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	20000	750	1000
საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	8000	300	400
ფოტო-ვიდეო გადაღება საარჩევნო უბანზე (პოსტერი)	3800		

1.2. არჩევნებში ჩართული მხარეების, არჩევნების პროცედურული საკითხებისა და საარჩევნო პროცესში მათი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებულობის მიზნით, დამხმარე სახელმძღვანელოების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება:

1.2.1. ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების იურისტებისათვის

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამხარეო ადმინისტრაციების იურისტებისათვის.

ტრენინგები ჩატარდა თბილისსა და საქართველოს 12 რეგიონში, სადაც მონაწილეობა მიიღო 120-მა იურისტმა.

სასწავლო მოდულები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა
- საარჩევნო კომისიებისათვის არჩევნებისათვის საჭირო შენობა - ნაგებობების გადაცემის წესი
- ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიაში
- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა
- საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა
- თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა
- პასუხისმგებლობის ზომები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის
- საკანონმდებლო სიახლეები

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

1.2.2. ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში კანდიდატად მონაწილე ქალებისთვის

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა, ა(ა)იპ „თანასწორობის ქსელთან“ (GEN) და ა(ა)იპ „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ (WIC) პარტნიორობით განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში კანდიდატად მონაწილე ქალებისთვის.

ტრენინგის მონაწილე ქალი კანდიდატებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში გაიმარჯვა და მანდატი მიიღო 14-მა ქალბატონმა, მათ შორის, შვიდი წარდგენილი იყო კანდიდატად პარტიული სიებით, ხოლო დანარჩენი შვიდი - მაჟორიტარ კანდიდატად პარტიების მიერ.

1.2.3. ტრენინგი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა ტრენინგი ჩაატარა მედია საშუალებების, მათ შორის, რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის.

პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES), საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან და რეგიონული მედიის ასოციაციასთან თანამშრომლობით.

ტრენინგის ფარგლებში ბეჭდვური, ელექტრონული და სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლები გაეცნენ მედიის როლს საარჩევნო პროცესებში, კენჭისყრის დღის პროცედურებს, საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ფოტოვიდეოგადაღების რეგულაციებსა და მედიის უფლებრივ მდგომარეობას.

ტრენინგს ესწრებოდა 97 მონაწილე, რომლებსაც გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

1.2.4. ტრენინგები ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისათვის

ცესკომ და სწავლების ცენტრმა უზრუნველყო სასწავლო პროგრამის განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნებისათვის ცესკოში დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსით რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ბოლო არჩევნების მონაცემების გათვალისწინებით საარჩევნო პროცესებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე ორგანიზაციებისათვის.

ტრენინგი ჩაუტარდა 65 დამკვირვებელს, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ 26 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან:

1. ა(ა)იპ "საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია"
2. ა(ა)იპ "საქართველოს იდეალისტები ერთად ერთობისათვის ასოციაცია"
3. ადამიანი უფლებათა დაცვისა და დახმარების საერთასორისო კავშირი "ნდობა"
4. საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი
5. ა(ა)იპ კავშირი "ადამიანი კანონი თავისუფლება"
6. კონსტიტუციის დაცვის კავშირი
7. სამართლებრივი დახმარებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი
8. "სიმართლის რწმენა"
9. ადამიანის უფლებათა ცენტრი
10. "ახალგაზრდა ადვოკატები"
11. არასამთავრობო ორგანიზაცია "ვეჟინი"
12. ა(ა)იპ ,,ქართველ მეცნიერთა ასოციაცია"
13. "საქართველოს მარტოხელების, მარტოხელა ინვალიდ-პენსიონერთა და მარტოხელა დედათა დახმარების კავშირი
14. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
15. საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი
16. ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი
17. „თავისუფალი არჩევანი"
18. ახალი თაობა-დემოკრატიული საქართველოსა თვის
19. "სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელი"

20. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
21. ”ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის”
22. ,,ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია"
23. „საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირი"
24. საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი
25. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაიცია
26. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

სასწავლო მოდულები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ზოგადი მიმოხილვა;
- დამკვირვებლის როლი საარჩევნო პროცესში;
- დამკვირვებლის უფლებრივი მდგომარეობა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- საკანონმდებლო სიახლეები;
- საარჩევნო დავები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

1.2.5. ტრენინგები საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის

ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების) წარმომადგენლებისთვის.

სასწავლო მოდულები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ზოგადი მიმოხილვა;
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის როლი და უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში;
- კენჭისყრის დღის პროცედურები;
- საკანონმდებლო სიახლეები;
- საარჩევნო დავები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

1.2.6. ტრენინგი ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა განახორციელა ტრენინგი ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, სახალხო დამცველის ოფისის, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, ასოციაცია "ანიკას", საქართველოს ყრუთა კავშირის, "ჯანმრთელი სამყაროსა" და „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითრების ცენტრის" წარმომადგენლებისთვის.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირების ჩართულობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. მონაწილეები გაეცნენ საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებს, კენჭისყრის დღის პროცედურების პრაქტიკული სწავლების თვალსაზრისით, მათთვის ნაჩვენები იყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმი "კენჭისყრის დღის პროცედურები".

ტრენინგს ესწრებოდა 15 მონაწილე, რომლებსაც გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული შესაბამისი სახელმძღვანელოები.

1.2.7. ტრენინგები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის

ცესკოს სწავლების ცენტრმა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასწავლო ცენტრმა განახორციელა სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზება;
- სააგიტაციო მასალების განთავსებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირების წესი;
- პატიმრების მიერ ხმის მიცემის პროცედურები.

მონაწილეებს გადაეცათ ცესკოს სწავლების ცენტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.

1.3. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება:

1.3.1. საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის ფორმირება, მომზადება (TOT)

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეირჩა 114 ტრენერი და მოხდა ტრენერთა სარეზერვო კორპუსის ფორმირება. აგრეთვე, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით შეირჩა 13 რეგიონული ტრენერი.

რეგიონულმა ტრენერებმა და ტრენერებმა გაიარეს საარჩევნო კანონმდებლობასა და ტრენერის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული ინტენსიური სასწავლო კურსი, რომელმაც მოიცვა 12 დღიანი პერიოდი. მისი ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

1.3.2. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები განხორციელდა 2014 წლის 7-14 მაისს. ტრენინგები განახორციელეს სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა რეგიონულმა ტრენერებმა.

სწავლების კურსი მოიცავდა საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვას, საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას, საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაცნობას კენჭისყრის დღემდე პერიოდში, კენჭისყრის დღეს და კენჭისყრის დღის შემდგომ პერიოდში.

სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა და პირველი სხდომის ინსტრუქცია
- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება, არჩევნების/კენჭისყრის შედეგების შეჯამება
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 949
დამსწრეთა რაოდენობა - 894
დასწრების კოეფიციენტი - 94%



1.3.3. ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის, საქართველოს ცესკოს ეგიდით, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინტენსიური სასწავლო პროგრამის განხორციელება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის.

I ეტაპზე (14-16 მაისი) რეგიონული ტრენერების მიერ მომზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესსთან დაკავშირებით და გადასცეს სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ხასიათის ინსტრუქციები.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების შემდგომი ეტაპების ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა 114-მა ტრენერმა.

II ეტაპი (20-30 მაისი) დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შეადგენლობის (13 წევრი) სწავლებას.

განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი)
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება)
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები

სწავლების მეთოდი:

- ელექტრონული სწავლება (მათ შორის, კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი სასწავლო ფილმის ჩვენება);
- პრაქტიკული სწავლება - წილისყრით ფუნქციების განაწილება, რეგისტრატორის ფუნქციების შესრულება და მარკირების შემოწმების პროცედურა (როლური თამაში).

II ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე (13 წევრი) დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 47021
დამსწრეთა რაოდენობა - 38 770
დასწრების კოეფიციენტი - 82%







III ეტაპი (1-7 ივნისი) დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანის სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები (მათ შორის, საარჩევნო დოკუმენტაციასთან მუშაობა, შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი);
- კენჭიყრის დღის განხცადებები/საჩივრები.

სწავლების მეთოდი:
პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები).

III ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 10 851
დამსწრეთა რაოდენობა - 10 125
დასწრების კოეფიციენტი - 93%





IV ეტაპი (2-13 ივნისი) დაეთმო კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას. სწავლების ცენტრის ტრენერებმა და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, საარჩევნო უბნების განთავსების ადგილებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი, რომლის შემდეგ კომისიის წევრებმა პრაქტიკულად განახორციელეს კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირება. ინსცენირება მოიცავდა დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელ პროცედურებს და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკულ სავარჯიშოს.

დამატებითი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის შეცვლილი წევრებისათვის (5 - 8 ივნისი) -საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გამოწვევის ვადების გათვალისწინებით, სწავლების ცენტრმა საოლქო საარჩევნო კომისიებთან კოორდინაციით დაგეგმა და განახორციელა დამატებითი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისათვის და ასევე, იმ წევრებისათვის, რომლებიც ვერ დაესწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს.

განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

ტრენინგი გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის (10-13 ივნისი) - დაეთმო კომისიის სრული შეადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (სპეციალური სია და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი);
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა და ძირითადი საარჩევნო უბნისათვის საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემის წესი);
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

სწავლების მეთოდი:

- ელექტრონული სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება - კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირება.

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 260

დამსწრეთა რაოდენობა - 192

დასწრების კოეფიციენტი - 74%





თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მეორე ტურისთვის ხელახლა დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები (9-10 ივლისი)

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მეორე ტურისთვის, ცესკოს ეგიდით, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო დამატებითი ტრენინგების ჩატარება იმ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის, რომლებსაც 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შემდეგ ზემდეგომი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით

შეუწყდათ უფლებამოსილება და არჩევნების მეორე ტურისთვის განხორციელდა მათი ხელახალი დაკომპლექტება.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები ჩაატარეს სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა 9 ტრენერმა.

ტრენინგის თემატიკა მოიცავდა საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებებს კენჭისყრის დღეს, ძირითადი აქცენტები გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა:

- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო უბნის დახურვა და საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- საარჩევნო ყუთის გახსნა, საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება/დათვლა საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვა;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- კენჭისყრის დღის განხცადებები/საჩივრები.

პრაქტიკული სწავლების ფორმატში ჩატარდა კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირება (დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურები).

ტრენინგები ჩატარდა ხუთი საარჩევნო ოლქის (№7 ჩუღურეთი, №10 გლდანი,№32 გორი, №61 ლანჩხუთი, №79 ბათუმი) 54 საარჩევნო უბანზე.

თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მეორე ტურისთვის ხელახლა დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 702
დამსწრეთა რაოდენობა - 521
დასწრების კოეფიციენტი - 74%







1.3.4. ტრენინგი ცესკოს „კონტაქტ-ცენტრის“ ოპერატორებისთვის

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნებისათვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო ცესკოში მოქმედი „კონტაქტ-ცენტრის“ თანამშრომლებისათვის სპეციალური სასწავლო კურსის ჩატარება.

ტრენინგი განხორციელდა ორ ეტაპად:

I ეტაპი ჩატარდა 2014 წლის 3-4 აპრილს, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ:

- საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსსა და სისტემას;
- საარჩევნო კოდექსის სიახლეებს; თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების რეგულირებას (პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია; საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციის წესი;

პარტიული სიების წარდგენა; საკრებულოს წევრობის კანდიდატების წარდგენა; მერობის/გამგებლობის კანდიდატების წარდგენა);

- არჩევნებში ჩართული მხარეებისა და მათ უფლებრივ მდგომარეობას (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი; დამკვირვებელი ორგანიზაციები და დამკვირვებლები; მედია; ამომრჩეველი და ამომრჩეველთა სიები); საარჩევნო დავებსა და მოსარჩელეთა წრეს.

II ეტაპი ჩატარდა 2014 წლის 10 ივნისს, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობას კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა სიები, კენჭისყრის შენობის მოწყობა)
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობას კენჭისყრის დღეს
- კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამებას საარჩევნო უბანში.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები.

1.4. *საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება*

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სწავლების ცენტრმა 2014 წლის 15 იანვრიდან - 13 მარტამდე და 30 სექტემბერიდან - 4 ნოემბრამდე პერიოდში განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, ჩატარება.

სასერტიფიკაციო გამოცდისათვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების მომზადება, რომელიც ცესკოს სხდომაზე დამტკიცების შემდეგ, თანდართული პასუხებით, წინასწარი საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე:

- საქართველოს კონსტიტუციიდან - 600 ტესტი;
- საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ - 1800 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (ვერბალური ნაწილი) - 100 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური ნაწილი) - 21 ტესტი (ნიმუშის სახით).

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის N13 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ“ დებულების თანახმად, გამოცდების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე.

გამოცდების შედეგები:



გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა ხუთმა მონაწილემ, ცესკომ განიხილა აღნიშნული საჩივრები და შესაბამისი საფუძვლების არ არსებობის გამო არ დააკმაყოფილა.

სასერტიფიკაციო გამოცდების მიმდინარეობას დააკვირდა ა(ა)იპ ”საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი” და „ახალი სიტყვა“.

1.5. კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა:

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა 2014 წლის I – IV კვარტლის პერიოდში უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით:

N	პოლიტიკური პარტიის დასახელება	კვარტალი			
		I	II	III	IV
1	პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"	20675.64	20675.64	19825.00	19660.00
2	საქართველოს კონსერვატიული პარტია	20675.64	20675.64	19825.00	19660.00
3	პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"	20675.64	20675.64	19825.00	19660.00
4	„საქართველოს რესპუბლიკური პარტია"	20675.64	20675.64	19825.00	19660.00
5	პ/გ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები"	20675.64	20675.64	19825.00	19660.00
6	პ/გ „ეროვნული ფორუმი"	20675.64	20675.64	19825.00	19660.00
7	პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	124053.87	124053.87	118952.00	117960.00
8	საქართველოს ქრისტიან კონსერვატიული პარტია	0.00	0.00	57453.00	58980.00
9	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	41351.29	41351.29	116255.00	117960.00
10	დავით თარხან-მოურავი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0.00	0.00	57252.00	59181.00
11	შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0.00	0.00	57453.00	58980.00
12	ახალი მემარჯვენეები	31013.47	31013.47	1011.00	
13	საქართველოს გზა	31013.47	31013.47	1011.00	
14	ხალხის პარტია	41351.29	41351.29	1348.00	
15	მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის"	41351.29	41351.29	1348.00	
16	ევროპელი დემოკრატები	41351.29	41351.29	1348.00	
17	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია	41351.29	41351.29	1348.00	
ჯამი		**516 891.11**	**516 891.11**	**533 729.00**	**531021.00**

1.6. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ტრენერებთან შემაჯამებელი შეხვედრა

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს შემაჯამებელი შეხვედრა საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან და ტრენერებთან, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა სწავლების ცენტრის მიერ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის ჩატარებული ტრენინგების ეფექტიანობის საკითხი (ტრენინგების სისტემა, მეთოდოლოგია, სასწავლო მასალები, კომუნიკაცია, კოორდინაცია და სხვ.).

მიმართულება N2: საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია

2.1. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში საარჩევნო კულტურის ამაღლების მიზნით საგრანტო კონკურსების ორგანიზება, არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემა:

2.1.1. 2014 წლის 28 თებერვლის საგრანტო კონკურსი

,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსის ჩატარება.

2014 წლის 28 თებერვალს საგრანტო კონკურსი გამოცხადდა ხუთ მიმართულებაზე:

- პირველი მიმართულება - ამომრჩეველთა ინფორმირება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ საკონკურსო თემატიკებს:

I. ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა.
მიზანი - 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის საზოგადოებაში საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო/სასწავლო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება.

საკონკურსო თემატიკა - ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	სოციალური დაცვის ლიგა	2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე შშმ პირთა ჩართულობის ზრდა და ამომრჩეველთა ინფორმირება ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ www.pandusgeorgia.com - ის დახმარებით	თბილისი და სხვა რეგიონები	26430
2	საზოგადოებრივი დამცველი	2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის და ნდობის გაზრდა	კახეთი ქვემო ქართლი	31567
3	კავშირი სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი	ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი	გორი, ქუთაისი ახალციხე, თელავი, ზუგდიდი,	40365
4	განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)	ჩვენ მივდივართ არჩევნებზე, მოდი შენც!	საქართველოს რეგიონები	47420
5	კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ახალგაზრდების საარჩევნო უფლებების დაცვა რეგიონებში	თბილისი და სხვა რეგიონები	49980

II. რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო.
მიზანი - მედია საშუალებების როლის გააქტიურება მათ მიერ ამომრჩევლებისათვის ხარისხიანი, პროფესიული და დამოუკიდებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც ითვალისწინებდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის მედია პროდუქტის შექმნას (გადაცემების/სიუჟეტების/სტატიების ციკლი, რუბრიკები და სხვ.) და უზრუნველყოფდა ელექტორატის ინფორმირებულობას არჩევნებისა და ამ პროცესში თითოეული მოქალაქის როლის მნიშვნელობაზე.

საკონკურსო თემატიკა - რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	Post-ალიონი	მე ვირჩევ - მე ვმართავ!	გურია	48100
2	მედია ფონდი	მოქალაქეთა ინფორმირებული არჩევანი: მედია და არჩევნები	სამეგრელო	12241
3	ბორჯღალი	აირჩიე თვითმმართველობა	აჭარა	35380

- მეორე მიმართულება - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ საკონკურსო თემატიკებს:

I. ქალთა მონაწილეობის წახალისება საარჩევნო პროცესებში
მიზანი - 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ქალთა ჩართულობის ზრდის წახალისება. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემების ან სხვა ღონისძიებების განხორციელების გზით ქალთა პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის, მოტივაციის ზრდა.

საკონკურსო თემატიკა - ქალთა მონაწილეობის წახალისება საარჩევნო პროცესებში				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	მედიის განვითარების ფონდი	ლიდერი ქალები დემოკრატიული მმართველობისთვის	თბილისი რეგიონები	43570

II. არჩევნებში ჩართულ მხარეთა კომუნიკაცია გენდერის საკითხების ჭრილში.
მიზანი - საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირებულობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის აქტუალობისა და მისი განხორციელების ხელშეწყობის საკითხებზე; მხარეთა შორის კომუნიკაციის განვითარებისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ისეთი საკითხების განხილვის პროცესში, რომელიც უკავშირდება ქალთა და მამაკაცთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ, ეფექტიან განხორციელებას საარჩევნო პროცესში, ქალთა მონაწილეობის ზრდის წახალისებას პოლიტიკურ ცხოვრებაში (როგორც ამომრჩევლის, ისე კანდიდატის რანგში), მათ შორის, პოლიტიკური პარტიების მოტივირებას ქალების მონაწილეობის გაძლიერების თვალსაზრისით. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ამ მიმართულებაზე წარმოდგენილი პროექტები არ დაფინანსდა.

- მესამე მიმართულება - ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ასპექტების შესწავლა და საჭიროებების განსაზღვრა. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ საკონკურსო თემატიკებს:

I. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში.
მიზანი - ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში ჩართულობის კუთხით საარჩევნო გარემოს სიტუაციურ შესწავლა და ანალიზი შემდეგ ძირითად ასპექტებზე ორიენტირებით:
საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის დინამიკა; საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება (მათ შორის, ენობრივი, ტრადიციულ/რელიგიური ან სხვა ბარიერები); ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული საგანმანათლებლო ან სხვა ფორმატის ღონისძიებების ეფექტიანობა; აღნიშნული მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება; პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამომავლო ინიციატივების უზრუნველსაყოფად შესაბამისი საჭიროებების გამოვლენა, იდენტიფიცირება და სხვა.

საკონკურსო თემატიკა - ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	საზოგადოებრივი დამცველი	ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში ჩართულობის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება	თბილისი, ქვემო ქართლი კახეთი	53803

II. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში.
მიზანი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის კუთხით საარჩევნო გარემოს სიტუაციურ შესწავლა და ანალიზი შემდეგ ძირითად ასპექტებზე ორიენტირებით: საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების მონაწილეობის დინამიკა; საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება; არჩევნებთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობისა და საარჩევნო პროცესში მათი სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფად განხორციელებული საგანმანათლებლო ან სხვა

ფორმატის ღონისძიებების ეფექტიანობა; აღნიშნული მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება; პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამომავლო ინიციატივების უზრუნველსაყოფად შესაბამისი საჭიროებების გამოვლენა, იდენტიფიცირება და სხვა.

საკონკურსო თემატიკა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი	შშმპ-თა საარჩევნო საჭიროებების კვლევა საქართველოს მასშტაბით	თბილისი და სხვა რეგიონები	76438

- მეოთხე მიმართულება - არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონული ქსელისა და ადგილობრივი წარმომადგენლობების განვითარების ხელშეწყობა, წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში, სრული საარჩევნო პროცესის მხარდასაჭერად.

აღნიშნული მოიცავდა საკონკურსო თემატიკას - არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა საარჩევნო სფეროში სადამკვირვებლო მისიების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ამ თემატიკაზე წარმოდგენილი პროექტები არ დაფინანსდა.

- მეხუთე მიმართულება - 2010 წლიდან საერთო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა (რეგიონულ ჭრილში) 2014 წლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის. აღნიშნული მოიცავდა საკონკურსო თემატიკას - პოლიტიკური პარტიების რეგიონული განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი - პოლიტიკური პარტიების რეგიონული წარმომადგენლობების განვითარებისა და მათი წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი საგანმანათლებლო ან სხვა ფორმატის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება.

საკონკურსო თემატიკა - პოლიტიკური პარტიების რეგიონული განვითარების ხელშეწყობა				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდეგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი	ახლადჩამოყალიბებულ თვითმმართველ ქალაქებში პოლიტიკური პარტიების საკრებულოების წევრობის კანდიდა-ტების შესაძლებლობების გაზრდა	მცხეთა-მთიანეთი, გორი, სამცხე-ჯავახეთი, თელავი	37480

2.1.2. 2014 წლის 25 აპრილის საგრანტო კონკურსი

2014 წლის 25 აპრილს საგრანტო კონკურსი გამოცხადდა სამ მიმართულებაზე:

- პირველი მიმართულება - ამომრჩეველთა ინფორმირება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ საკონკურსო თემატიკებს:

I. ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა.

მიზანი - 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის საზოგადოებაში საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო/სასწავლო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება.

საკონკურსო თემატიკა - ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდეგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი	მეტი ინფორმირებულობა, მეტი ჩართულობა	ქვემო ქართლი კახეთი	18365
2	ქალები მომავლისათვის	აირჩიე და მართე	კახეთი	17556.81
3	საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი	15 ივნისს აირჩიე შენ!	ქვემო ქართლი	24490
4	ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი	ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები-ახალგაზრდა ამომრჩეველთა ქსელი	სამცხე-ჯავახეთი	24410
5	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი	აქტიურ ამომრჩეველი მთიან რეგიონში	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	22618.95

II. რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო.
მიზანი - მედია საშუალებების როლის გააქტიურება მათ მიერ ამომრჩევლებისათვის ხარისხიანი, პროფესიული და დამოუკიდებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც ითვალისწინებდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის მედია პროდუქტის შექმნას (გადაცემების/სიუჟეტების/სტატიების ციკლი, რუბრიკები და სხვ.) და უზრუნველყოფდა ელექტორატის ინფორმირებულობას არჩევნებისა და ამ პროცესში თითოეული მოქალაქის როლის მნიშვნელობაზე.

საკონკურსო თემატიკა - რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდეგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო	გურია-ჩვენ მივდივართ არჩევნებზე, მოდი შენც!	გურია	21910
2	სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნული ფონდი "გეორგია-ელადა"	ჩემი თვითმმართველობა (ადგილობრივი მედიის გააქტიურება ეკომიგრანტებით და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში -წალკა, დმანისი, თეთრიწყარო)	ქვემო ქართლი	21810

- მეორე მიმართულება - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ საკონკურსო თემატიკებს:

I. ქალთა მონაწილეობის წახალისება საარჩევნო პროცესებში.

მიზანი - 2014 წლის ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოების არჩევნებში ქალთა ჩართულობის ზრდის წახალისება. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემების ან სხვა ღონისძიებების განხორციელების გზით ქალთა პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის, მოტივაციის ზრდა.

საკონკურსო თემატიკა - ქალთა მონაწილეობის წახალისება საარჩევნო პროცესებში				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდეგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	კავშირი "ვეჟინი"	კახეთის რეგიონის განსხვავებული რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდა ქალების ჩართულობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში	კახეთი	24879.33
2	სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ქალ ექსპერტთა ქსელი მშვიდობის და უსაფრთხოებისთვის	მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ქალთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში	მცხეთა-მთიანეთი	20750

II. არჩევნებში ჩართულ მხარეთა კომუნიკაცია გენდერის საკითხების ჭრილში.

მიზანი - საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირებულობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის აქტუალობისა და მისი განხორციელების ხელშეწყობის საკითხებზე; მხარეთა შორის კომუნიკაციის განვითარებისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ისეთი საკითხების განხილვის პროცესში, რომელიც უკავშირდება ქალთა და მამაკაცთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ, ეფექტიან განხორციელებას საარჩევნო პროცესში, ქალთა მონაწილეობის ზრდის წახალისებას პოლიტიკურ ცხოვრებაში (როგორც ამომრჩევლის, ისეკანდიდატის რანგში), მათ შორის, პოლიტიკური პარტიების მოტივირებას ქალების მონაწილეობის გაძლიერების თვალსაზრისით.

საკონკურსო თემატიკა - არჩევნებში ჩართულ მხარეთა კომუნიკაცია გენდერის საკითხების ჭრილში				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდეგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	გენდერული თანასწორობის ქსელი	გენდერული სამართლიანობა პოლიტიკურ პროცესებში	თბილისი და სხვა რეგიონები	24965
2	ასოციაცია "ქალი და განვითარება"მშვიდობის და უსაფრთხოებისთვის	ქალთა გაძლიერება თანასწორი მონაწილეობისათვის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში	შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი	25000

- მესამე მიმართულება - 2010 წლიდან საერთო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა (რეგიონულ ჭრილში) 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის. აღნიშნული მოიცავდა საკონკურსო თემატიკას - პოლიტიკური პარტიების რეგიონული განვითარების ხელშეწყობა. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით აღნიშნულ თემატიკაზე წარმოდგენილი პროექტები არ დაფინანსდა.

2.1.3. 2014 წლის 15 სექტემბრის საგრანტო კონკურსი

2014 წლის 15 სექტემბრიდან სწავლების ცენტრმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 3 სექტემბრის №293/2014 განკარგულებით განსაზღვრულ საგრანტო კონკურსის დაფინანსების შემდეგ მიმართულებებზე:

- პირველი მიმართულება - ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ საკონკურსო თემატიკებს:

I. დემოკრატიული არჩევნების არსისა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებზე სამოქალაქო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა
მიზანი - საარჩევნო კუთხით სამოქალაქო განათლების უზრუნველყოფის ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული იქნება ისეთი საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას დემოკრატიზაციის პროცესში არჩევნების როლისა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩევლის მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

საკონკურსო თემატიკა - დემოკრატიული არჩევნების არსისა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებზე სამოქალაქო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“	„ჩვენ ვირჩევთ“	ზუგდიდი	42585
2	კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	„ახალგაზრდობა თანაბარი არჩევნებისა და თანაბარი შესაძლებლობებისთვის“	თბილისი და სხვა რეგიონები	59990
3	დემოკრატ მესხთა კავშირი	„შენ გაქვს უფლება იცოდე“	სამცხე-ჯავახეთი	50970
4	კავშირი სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი	„სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს დაფუძნება“	თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი	58470

II. ამომრჩევლის საარჩევნო კულტურის განვითარებაზე ორიენტირებული საინფორმაციო სივრცის უზრუნველყოფა
მიზანი - მედია საშუალებების როლის გააქტიურება ამომრჩევლთა საარჩევნო კულტურის განვითარებაზე ორიენტირებული საინფორმაციო სივრცის უზრუნველყოფად, ასევე არჩევნების პოპულარიზაცია მომავალ არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობის ზრდის წასახალისებლად და ელექტორატის მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით პროექტი უნდა მოიცავდეს მედია პროდუქტის შექმნას გადაცემების/სიუჟეტების/სტატიების ციკლის, რუბრიკების ან/და სხვა ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფს ელექტორატის ინ-

ფორმირებულობას მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებზე.

საკონკურსო თემატიკა - ამომრჩევლის საარჩევნო კულტურის განვითარებაზე ორიენტირებული საინფორმაციო სივრცის უზრუნველყოფა				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	ინტერნიუსი-საქართველო	„მედია და ინფორმირებული ამომრჩეველი“	თბილისი და სხვა რეგიონები	59997
2	Post-ალიონი	„აირჩიე დემოკრატია“	გურია	59900

- მეორე მიმართულება - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესში.

I. არჩევნებში ჩართულ მხარეთა კომუნიკაცია გენდერის საკითხების ჭრილში.

მიზანი - ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირებულობის ზრდას გენდერული თანასწორობის პოლიტიკის აქტუალობისა და მისი განხორციელების ხელშეწყობის საკითხებზე, ამასთან ერთად, უზრუნველყოფს მხარეთა შორის კომუნიკაციის განვითარებასა და მათ ჩართულობას ისეთი საკითხების განხილვის პროცესში, რომელიც უკავშირდება ქალთა და მამაკაცთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ, ეფექტიან განხორციელებას საარჩევნო პროცესში, ქალთა მონაწილეობის ზრდის წახალისებას პოლიტიკურ ცხოვრებაში (როგორც ამომრჩევლის, ისე კანდიდატის რანგში), მათ შორის, პოლიტიკური პარტიების მოტივირებას მომავალ არჩევნებში ქალების მონაწილეობის გაძლიერების თვალსაზრისით.

კონკურსო თემატიკა - არჩევნებში ჩართულ მხარეთა კომუნიკაცია გენდერის საკითხების ჭრილში				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	განვითარების კვლევისა და შეფასების ცენტრი	„შიდაპარტიული გენდერული დემოკრატიის განვითარება და ქალთა პოლიტიკური გაძლიერება მულტიმედიური ინსტრუმენტების გამყენებით“	თბილისი და სხვა რეგიონები	79575
2	მედიის განვითარების ფონდი	„ქალები ცვლილებებისთვის“	თბილისი და სხვა რეგიონები	57595
3	გენდერული თანასწორობის ქსელი	„ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში“	თბილისი და სხვა რეგიონები	74470
4	ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის	„ერთად გენდერული თანასწორობისათვის“	თბილისი და სხვა რეგიონები	78950

- მესამე მიმართულება - პოლიტიკური პარტიების განვითარება კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშესაწყობად.
  მიზანი - პოლიტიკური პარტიების რეგიონული წარმომადგენლობების ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი საგანმანათლებლო ან სხვა ფორმატის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის გამოცდილების გაზიარება, საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და სხვ.).

საკონკურსო თემატიკა - პოლიტიკური პარტიების რეგიონული განვითარების ხელშეწყობა				
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი	„კვლევიდან წინასაარჩევნო პროგრამამდე“ - პოლიტიკური პარტიების კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერება ეფექტური წინასაარჩევნო პროგრამების და კამპანიის განსახორციელებლად	თბილისი და სხვა რეგიონები	74190
2	სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი	„პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაძლიერება“	თბილისი და სხვა რეგიონები	65260
შენიშვნა: 2014 წლის 15 სექტემბრის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტები განხორციელების რეჟიმშია.				

2.1.4. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შემაჯამებელი პრეზენტაცია

2013 წლის 9 აგვისტოს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია - არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცესკოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე გაიმართა შეხვედრა სწავლების ცენტრის მიერ 2013 წლის 9 აგვისტოს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებმაც წარმოადგინეს პროექტის ფარგლებში განხორცილებული საარჩევნო გარემოს კვლევის შედეგების პრეზენტაცია. კვლევა მოიცავდა 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდს და უკავშირდებოდა ამომრჩეველთა განათლების პროგრამების ეფექტიანობის შესწავლა/ანალიზს, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასებას, საჭიროებების გამოვლენას სამომავლო ინიციატივების უზრუნველსაყოფად. პრეზენტაცია წარმოადგინეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა:

- დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების აკადემია - პროექტით „კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობების შესწავლა/ანალიზი“- ფარგლებში.
- საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი – პროექტით „ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროექტების შეფასება საქართველოს მასშტაბით“- ფარგლებში.
- კავშირი ბი-სი-ჯი კვლევა - პროექტით „ამომრჩეველთა განათლების პროგრამების შესწავლა/ანალიზი“ - ფარგლებში.

2014 წლის 28 თებერვლისა და 25 აპრილის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია - სწავლების ცენტრის ორგანიზებით მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც 22-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარადგინა პრეზენტაცია 2014 წლის 28 თებერვლისა და 25 აპრილის საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტების განხორციელების შედეგებთან დაკავშირებით. გამართული შეხვედრის ფორმატში აქცენტები გაკეთდა საარჩევნო გარემოს განვითარების, ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, საარჩევნო პროცესებში ელექტორატის ჩართულობის ზრდის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე.

მიმართულება N3: ინფორმირებული ამომრჩეველი

3.1.ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის საინფორმაციო კამპანიისა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება :

3.1.1. საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება ამომრჩევლებისათვის

ამომრჩევლთა საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის პოსტერი (ქართული-3800; ქართულ/სომხური-150; ქართულ/ აზერბაიჯანული-200) რომელიც საჯარო გაცნობისთვის გამოიფინა კენჭისყრის შენობებში.

სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სწავლების ცენტრმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით, დამატებით განახორციელა მათი თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. (ბმული)

3.1.2. სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის

ცესკოს ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, სამოქალაქო განათლების მიმართულებით, 2014 წელს სწავლების ცენტრმა განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამა „საარჩევნო სამართლის დარგში“ მემორანდუმის ხელმომწერ საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში:

სასწავლო მოდულები:

საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია; საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები; საარჩევნო სისტემები; საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა; წინასაარჩევნო კამპანია; არჩევნების დაფინანსება; არჩევნების მონიტორინგი და მედია; საარჩევნო დავები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები; საქართველოს პარლამენტის არჩევნები; აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები; ქალაქის/თემის მერის/გამგებლის არჩევნები; რეფერენდუმი და პლებისციტი.

2014 წლის სტუდენტების რაოდენობა უნივერსიტეტების მიხედვით			
წელი	**მიმართულება**	**უნივერსიტეტი**	**რაოდ.**
2014	ჟურნალისტიკა	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	21
		ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	117
		იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6
		გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	16
		გორის სასწავლო უნივერსიტეტი	25
		ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	19
		ილიას სახელობის უნივერსიტეტი	30
		კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	22
	იურიდიული	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	23
		ილიას სახელობის იუნივერსიტეტი	40
		გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	25
		საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	35
		კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	35
		გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	26
		ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30
		სტუდენტების საერთო რაოდენობა	**470**

სასწავლო მეთოდოლოგია:

- ელექტრონული სწავლება (გამოიყენება ვიზუალიზირებული ელექტრონული პროგრამა და სასწავლო ფილმი - „კენჭისყრის დღის პროცედურები“)
- პრაქტიკული სწავლება (სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები)

3.2. ახალგაზრდა ამომრჩევლის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) ინფორმირება არჩევნებში მათი აქტიური ჩართულობის მიზნით

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, 11 უნივერსიტეტში (თბილისში - 8 უნივერსიტეტი, სხვა რეგიონებში - 3 უნივერსიტეტი) განხორციელდა პროექტი - ”არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა”.

პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტების საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობასა და მათ მოტივირებას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის ფარგლებში:

- უნივერსიტეტებში სტუდენტებთან ჩატარდა სემინარები და მოეწყო დისკუსია თემაზე “არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“;
- კენჭისყრის დღის პროცედურების ვიზუალიზაციის თვალსაზრისით, გაშუქდა სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმი ”კენჭისყრის დღის პროცედურები”.
- სტუდენტებს დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები, რომელშიც გაწერილი იყო საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა **22 სემინარი,** რომელშიც მონაწილეობა მიიღო **442 სტუდენტმა,** მათ შორის იმ სტუდენტებმა, რომლებიც პირველად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში. სემინარის ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა ტრენერებმა. მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.



მიმართულება N4: დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

4.1. საარჩევნო პროცესის მუდმივი დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა, მათი საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვა:

4.1.1. საქართველოს მოსახლეობის საარჩევნო ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია ევროპარლამენტში

ბრიუსელში ევროპარლამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრის ფორმატში საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გააკეთეს კვლევის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ჩატარდა და მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობის საარჩევნო ფსიქოლოგიის შესწავლას. აღნიშნული კვლევა განხორციელდა საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრსა (ICPS) და საარჩევნო ფსიქოლოგიის საერთაშორისო ცენტრთან (ICEP) პარტნიორობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საველე სამუშაოები განახორციელეს სწავლების ცენტრისა და ICEP-ის მიერ მომზადებულმა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა.

4.1.2. საზღვარგარეთის ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის გამოცდილების გაზიარება საარჩევნო სფეროში სასწავლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით

საარჩევნო სფეროში სასწავლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2014 წლის 21-24 მაისის პერიოდში ცესკოს სწავლების ცენტრს მოლდოვას ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწავლების ცენტრის დელეგაცია ესტუმრა. ცესკოს სწავლების ცენტრმა დელეგაციის წევრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია სწავლების ცენტრის შექმნის, მისიისა და საქმიანობის შესახებ საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდში. მოლდოვასა და საქართველოს სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა იმსჯელეს საარჩევნო სფეროში სწავლების ფუნქციის წარმატებით განხორციელების გამოწვევებზე, პრეზენტაციების ფორმატში ერთმანეთს გაუზიარეს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის, ამომრჩეველთა განათლების კუთხით დანერგილი სასწავლო პროგრამები, აპრობირებული მეთოდოლოგია და შემუშავებული სასწავლო მასალები. შემაჯამებელ შეხვედრაზე საქართველოს სწავლების ცენტრისა და მოლდოვას სწავლების ცენტრის წარმომდგენლებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

მსგავსი პროექტი საარჩევნო სფეროში სასწავლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების მიზნით ასევე განხორციელდა ალბანეთის რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში, ეუთოსა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით.

4.1.3. გამოცდილების გაზიარება „საარჩევნო პროცესებში ნდობის ზდრის საკითხებთან დაკავშირებით“

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კენიაში გამართულ მე-8 საერთაშორისო სიმპოზიუმში, რომლის ფარგლებშიც საზღვარგარეთის ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა იმსჯელეს და განიხილეს საარჩევნო პროცესებში ნდობის ზდრის საკითხები.

4.1.4. გამოცდილების გაზიარება საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის საკითხებზე

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) რიგით 23–ე ყოველწლიურ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა რუმინეთის დედაქალაქ, ბუქარესტში. კონფერენციის მონაწილეებმა საარჩევნო და საზოგადოებრივ პროცესებში ქალთა ჩართულობის საკითხებზე და არჩევნების ორგანიზებაზე იმსჯელეს. სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა საკუთარი ხედვა წარმოადგინეს არჩევნების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ თემებზე და ისაუბრეს შესაძლო გამოწვევებზე.

4.1.5. გამოცდილების გაზიარება არჩევნების მდგრადობის მართვის დაგეგმარების საკითხებზე

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს პრაღაში საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ევროპის რეგიონული ოფისის ორგანიზებით ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის ძირითადი მიზანი არჩევნების მდგრადობის მართვის დაგეგმარების მოდელის შემუშავება იყო, რაც თავის მხრივ მოიცავდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას როგორიცაა: საარჩევნო პროცესის წინაშე არსებული რისკების შესამცირებლად აუცილებელი საშუალებები (მათ შორის, არჩევნების უსაფრთხოება და კომპიუტერული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საბოლოო შედეგების კალკულაცია და შეჯამება, ადმინისტრაციული დაცვის მექანიზმები და ა.შ), მეთოდოლოგიები და სტრატეგიები (მათ შორის, საარჩევნო სფეროში სატრენინგო პროგრამების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და ა.შ). მონაწილეებმა არჩევნების მდგრადობის მართვის დაგეგმარების ხელშეწყობის მიმართულებით სხვადასხვა ექსპერტებისგან მოისმინეს რეკომენდაციებიც.

4.1.6. სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობა და საერთაშორისო საარჩევნო გამოცდილების გაზიარება

- ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში გამართულ საერთო არჩევნებში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა საარჩევნო ცნობიერების ამაღლების კუთხით თანამშრომლობის შესაძლებლობები.
- ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს ამერიკის 2014 წლის საარჩევნო პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც დელეგაცია გაეცნო ამერიკის საარჩევნო სისტემის თავისებურებებს და მონაწილეობა მიიღო დამკვირვებლის სტატუსით შუალედურ საყოველთაო არჩევნებში. ამერიკაში ვიზიტის ფარგლებში აგრეთვე გაიმართა შეხვედრა საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების სათაო ოფისების წარმომაგენლებთან და გაეროს მისიასთან, სადაც სწავლების ცენტრმა კოლეგებს მიაწოდა ინფორმაცია სწავლების ცენტრის საქმიანობის შესახებ საარჩევნო / არასაარჩევნო პერიოდში და განხილულ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

III. ინფორმაცია მიღწევების შესახებ

საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრის მიღწევები მოიცავს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები;
- არჩევნებში ჩართული მხარეების ტრენინგები;
- ამომრჩეველთა ინფორმირებულობის პროექტი;
- საზღვარგარეთის ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა;
- საგრანტო კონკურსები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება.

<u>საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები</u>

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის:

- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებელი საქმიანობიდან გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ტრენინგების ახალი სისტემა და ეტაპები;
- საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის მაქსიმალურად სრული მოცულობით გადამზადების უზრუნველსაყოფად შემოღებულ იქნა ტრენინგების დამატებითი ეტაპი საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისათვის და ასევე, იმ წევრებისათვის, რომლებიც ვერ დაესწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს;
- ტრენინგების ორგანიზებასთან დაკავშირებით ლოგისტიკური საკითხების მოგვარების, საოლქო საარჩევნო კომისიებთან და სწავლების ცენტრთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და ტრენინგების პროცესზე ინტენსიური მონიტორინგის უზრუნველსა-

ყოფად მოხდა რეგიონული ტრენერის ინსტიტუტის შემოღება;

- უზრუნველყოფილ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ჩართვა ტრენინგების ჩატარების პროცესში (პირველი სხდომის ინსტრუქტაჟი, ეპიზოდური ინსცენირება);
- არჩევნების თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელდა სასწავლო პროგრამის განახლება და სასწავლო მასალის მოდერნიზაცია.

საოლქო საარჩევნო კომისიებისა და ტრენერთა კორპუსის წარმომადგენლებთან მიმდინარე წლის აგვისტოში ჩატარებული შემაჯამებელი შეხვედრების ფარგლებში დადებითად შეფასდა სწავლების ცენტრის მიერ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის შემუშავებული ტრენინგების პროგრამა და მასთან დაკავშირებით შეთავაზებული სიახლეები.

<u>არჩევნებში ჩართული მხარეების ტრენინგები</u>

არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირებულობის უზრუნველყოფისა და მათ მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ ერთობლივად განხორციელდა ფარტომასშტაბიანი ტრენინგები, რომელმაც მოიცვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მედიის, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების იურისტებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების ტრენინგები. მოცემული მიმართულებით განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტებიდან აღსანიშნავია 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში კანდიდატად მონაწილე ქალებისთვის შემუშავებული ინოვაციური პროექტი, რომლის წარმატებულობა შედეგობრივადაც გამოიხატა - ტრენინგის მონაწილე ქალი კანდიდატებიდან 14 არჩეულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებში - საკრებულოებში.

<u>ამომრჩეველთა ინფორმირებულობის პროექტი</u>

საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებულმა „ამომრჩეველთა ინფორმირებულობის პროექტმა“ მოიცვა გრძელვადიანი და მოკლე ვადიანი საგანმანათლებლო პროგრამები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც გრძელვადიან პერსპექტივაში სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის გაღრმავების ხელშეწყობის მიმართულებით, ისე კონკრეტული არჩევნების პერიოდში ამომრჩევლთა არჩევნების ორგანიზაციული თავისებურებებისა და ხმის მიცემის პროცედურების შესახებ ინფორმირების უზრუნველსაყოფად (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის II თავში).

პროექტის წარმატების მაჩვენებელია უნივერსიტეტების მხრიდან სწავლების ცენტრის მიერ ზემოაღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე მზარდი მოთხოვნა (ამ ეტაპზე მუშავდება „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი ინიციატივა სწავლების ცენტრთან თანამშრომლობის შესახებ).

<u>საზღვარგარეთის ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა</u>

2010 წლიდან დღემდე სწავლების ცენტრის მიერ სხვადასხვა სასწავლო პროგრამების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილებისა და ორგანიზაციის ინსტიტუციონალური ზრდის პირობებში გამოიკვეთა სწავლების ცენტრის რესურსების გამოყენების მოთხოვნა საერთაშორსო დონეზე პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან (ანგარიშის II თავში წარმოდგენილია ინფორმაცია სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების კუთხით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწავლების ცენტრსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის განხორციელებული თანამშრომლობის შესახებ).

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის საარჩევნო ადმინისტრაციების სისტემაში არსებულ სასწავლო ინსტიტუციებთან საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის პერსპექტივით მიმდინარე ეტაპზე განიხილება საერთაშორისო სწავლების ასოციაციის ჩამოყალიბების ინიციატივა ცესკოს სწავლების ცენტრთან პარტნიორობით.

საგრანტო კონკურსები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადებითად შეფასდა სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მინიჭებული შესაძლებლობა, უზრუნველყონ პროექტების განხორციელება სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, ასევე განაპირობებს არასამთავრობო სექტორის ინსტიტუციონალურ განვითარებასა და მისი შესაძლებლობების ზრდას.

საგრანტო კონკურსების ორგანიზება-ჩატარებასთან დაკავშირებით არსებული გამჭვირვალობის სტანდარტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია გამოიყოს მიმდინარე წელს მიღებული ახალი რეგულაციები, რაც უკავშირდება საგრანტო საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების წესს და კონკურსში მონაწილე პირთა წრის განსაზღვრას.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების პროცესში მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა 2014 წლიდან სავალდებულო კომპონენტად შემოიღო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემაჯამებელი პრეზენტაციების გამართვა განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება

2014 წელს შეფერხების გარეშე იქნა უზრუნველოფილი სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის რეგისტრაციის მომსახურების გაწევა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მსურველთათვის (7866 მოქალაქე). სწავლების ცენტრის თანამშრომლების მიერ უზრუნველყოფილ იქნა სასერტიფიკაციო ტესტების განახლება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სერტიფიცირების პროცესი დადებითად იქნა შეფასებული დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ.